



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135242202

თარიღი:07/08/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ქალდანის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

- მივლინებულ იქნას მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ლევან ქალდანი, 3 (სამი) დღის ვადით, ა/წლის 11 აგვისტოდან ქ. რუსთავში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაზე „ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი - ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ დასწრების მიზნით, რომელიც გაიმართება ქ. რუსთავში, „რუსთავის ახალ სპორტის სასახლეში“.
- განისაზღვროს, ავტომობილ „BMW X5“-ზე, სახ. ნომრით: WS 696 SW მესტია-რუსთავი-მესტია მგზავრობისთვის საჭირო დიზელი 160 ლიტრით.
- დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს 3 (სამი) დღის მივლინების ხარჯის ანაზღაურება.
- დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.
- მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
- ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის

ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობაღიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

